საქმე **2/197-13წ**
210210013315614

1029464710624

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საჯარო შეტყობინების შესახებ

26.02.2014 წელი ქ. სიღნაღი

სიღნაღის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილი

ოსარჩელეები ევგენი მელაძე;
მზევინარი ცისკარიშვილი,
მოპასუხე თინა (თინათინი) ცისკარიშვილი;
დავის საგანი: მამობის დადგენა;

განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ განჩინების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2013 წლის 16 სექტემბერს მოსარჩელეების ევგენი მელაძისა და მზევინარი ცისკარიშვილის სახელით მათმა წარმომადგენელმა მალხაზი ქავთარაძემ სარჩელი აღძრა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე თინა (თინათინი) ცისკარიშვილის მიმართ და ითხოვა ევგენი მელაძე აღიარებულ იქნეს 1989 წლის 29 დეკემბერს დაბადებული მზევინარი ცისკარიშვილის მამად და მიეკუთვნოს გვარი - მელაძე.

სარჩელი და თანდართული საბუთები მოპასუხეს გაეგზავნა საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელში მითითებულ მისამართზე, რაც თინა (თინათინი) ცისკარიშვილის შვილს (სრულწლოვანი) ჩაბარდა 07.11.2013 წელს. წერილობითი შესაგებლის წარმოსადგენად მოპასუხეს დანიშნული ჰქონდა 10 დღის ვადა, რაც დასრულდა 18.11.2013 წელს. მოპასუხეს შესაგებელი არ წარმოადგინა და არც მისი წარმოუდგენლობის საპატიო მიზეზების შესახებ უცნობებია სასამართლოსათვის.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 18 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ევგენი მელაძის და მზევინარი ცისკარიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და 1989 წლის 29 დეკემბერს დაბადებული მზევინარ ცისკარიშვილის (პირადი №01411103052) მამად ცნობილ იქნეს ევგენი მელაძე (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, პასპორტის №60 05 341697). ასევე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიტანოს ცვლილება მზევინარი ცისკარიშვილის (პირადი N01411103052) დაბადების სააქტო ჩანაწერში (დაბადების მოწმობა N01136028064) და მზევინარი ცისკარიშვილის მამის გრაფაში მითითებული იქნეს მამა – ევგენ მელაძე (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, პასპორტის N60 05 341697), ხოლო მზევინარი ციკარიშვილის გვარის მაგივრად მიეთითოს მელაძე.

ამავე გადაწყვეტილებით მოპასუხე თინათინ ცისკარიშვილს დაეკისროს სახემწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარის გადახდა მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხე თინა (თინათინი) ცისკარიშვილს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით რამოდენიმეჯერ, რომელიც ვერ ჩაბარდა ადრესატს იმ მოტივით, რომ იგი სარჩელში მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე თინა (თინათინი) ცისკარიშვილს სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების გზით, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სასამართლოს მიერ 2013 წლის 18 დეკემბერს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ მოპასუხე თინა (თინათინი) ცისკარიშვილს უნდა ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1.მოპასუხე თინა (თინათინი) ცისკარიშვილს ეცნობოს სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ 2013 წლის 18 დეკემბერს მიღებული დასუწრებელი გადაწყვეტილების შესახებ, რომლითაც: ევგენი მელაძის და მზევინარი

ცისკარიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

1.1. 1989 წლის 29 დეკემბერს დაბადებული მზევინარ ცისკარიშვილის (პირადი N01411103052, მამად ცნობილ იქნეს ევგენ მელაძე (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, პასპორტის N60 05 341697).

1.2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიტანოს ცვლილება მზევინარი ცისკარიშვილის (პირადი N01411103052) დაბადების სააქტო ჩანაწერში (დაბადების მოწმობა N01136028064) და მზევინარი ცისკარიშვილის მამის გრაფაში მითითებული იქნეს მამა – ევგენ მელაძე (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, პასპორტის N60 05 341697), ხოლო მზევინარი ციკარიშვილის გვარის მაგივრად მიეთითოს მელაძე.

2. მოპასუხეს დაეკისროს სახემწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარის გადახდა მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

3. განემარტოს მოპასუხე თინა (თინათინი) ცისკარიშვილს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისთვის ჩაბარებულად ითვლება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან მეშვიდე დღეს.

4. განემარტოს მოპასუხეს, რომ ამ გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა შეუძლია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნღი, ცოტნე დადიანის ქ. №15), დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

5. სიღნაღის რაიონული სასამართლოს განჩინება განთავსებულ იქნას ვებგვერდზე www.tcc.gov.ge და სიღნაღის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე (სტენდზე).

6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე: ვალერიან ბუგიანიშვილი